

**შპს „თანამედროვე სამედიცინო
ტექნოლოგიების დასავლეთის
რეგიონალური ცენტრი“**

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ამონაგები.....	11
5. მარაგები და მარაგების ხარჯი.....	11
6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	12
7. სხვა ხარჯები.....	12
8. ძირითადი საშუალებები	13
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
10. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	14
11. საწესდებო კაპიტალი	14
12. სხვა რეზერვები	14
13. მიღებული სესხები.....	14
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	15
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	16
17. პირობითი ვალდებულებები.....	17
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	17

მმართველობის ანგარიშგება	22
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის“
ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატყეველად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება

ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვას საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი, 2023 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის“
ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება

ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვას საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრეობაზე და ასევე – მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი, 2023 წელი

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	21,998	23,385
სხვა შემოსავალი		69	73
მარაგების ხარჯი	5	(5,376)	(6,305)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	6	(11,305)	(10,568)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(1,489)	(1,433)
სხვა ხარჯები	7	(2,873)	(3,035)
საოპერაციო მოგება		1,024	2,117
ფინანსური შემოსავალი	10	31	40
ფინანსური ხარჯი	13	(1,745)	(1,890)
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		116	50
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(574)	317

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



გია გრძელიძე

მთავარი ბუღალტერი



სალომე შენგელია



შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	21,998	23,385
სხვა შემოსავალი		69	73
მარაგების ხარჯი	5	(5,376)	(6,305)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	6	(11,305)	(10,568)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(1,489)	(1,433)
სხვა ხარჯები	7	(2,873)	(3,035)
საოპერაციო მოგება		1,024	2,117
ფინანსური შემოსავალი	10	31	40
ფინანსური ხარჯი	13	(1,745)	(1,890)
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		116	50
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(574)	317

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გია გრძელიძე

მთავარი ბუღალტერი

სალომე შენგელია

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	9,396	10,518
		9,396	10,518
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	1,035	1,176
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	4,138	5,487
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	10	1,020	1,230
		6,193	7,893
სულ აქტივები		15,589	18,411
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	31	31
სხვა რეზერვები	12	757	757
დაგროვილი ზარალი		(4,551)	(3,977)
სულ კაპიტალი		(3,763)	(3,189)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	13,457	14,589
		13,457	14,589
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		190	174
მიღებული სესხები	13	1,424	1,351
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	4,281	5,486
		5,895	7,011
სულ ვალდებულებები		19,352	21,600
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,589	18,411

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	31	757	(4,294)	(3,506)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	-	317	317
2021 წლის 31 დეკემბერი	31	757	(3,977)	(3,189)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(574)	(574)
2022 წლის 31 დეკემბერი	31	757	(4,551)	(3,763)

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(574)	317
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,489	1,433
ფინანსური შემოსავალი	(31)	(40)
ფინანსური ხარჯი	1,745	1,890
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(116)	(50)
	2,513	3,550
შემცირება (ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	141	(65)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,349	(1,887)
ზრდა (შემცირება) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,199)	1,776
საგადასახადო ვალდებულებები	16	183
	2,820	3,557
გადახდილი პროცენტი	(1,674)	(1,817)
მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი	31	40
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	1,177	1,780
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(367)	(413)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(367)	(413)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	630	156
გადახდილი სესხები	(1,650)	(1,592)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,020)	(1,436)
შემცირებული წმინდა ფულადი სახსრები	(210)	(69)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	1,230	1,300
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	-	(1)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1,020	1,230

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2016 წელს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით - 412719651. კომპანიის იურიდიული მისამართია ფოთის ქუჩა #40, ქ. ქუთაისი, საქართველო.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არის მრავალპროფილური ჰოსპიტალი, 12 განყოფილებითა და 170 საწოლით, აქედან 30 საწოლი (2021: 38 საწოლი) ინტენსიური მკურნალობის განყოფილებაში. ჰოსპიტალში ხორციელდება როგორც სტაციონალური, ასევე ამბულატორიული მომსახურება. კლინიკის წამყვან მიმართულებებს წარმოადგენს - ინტერვენციული კარდიოლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია, ნეიროქირურგია, ზოგადი ქირურგია. საავადმყოფომ აქტიური ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის ოქტომბერში.

2020 წლის 26 ოქტომბრიდან კლინიკა აქტიურად იყო ჩართული COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მკურნალობის პროცესში, გარკვეული პერიოდულობით ფუნქციონირებდა როგორც „მოზილიზებული კოვიდ კლინიკა“; 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კოვიდ პაციენტთა მკურნალობას ახორციელებდა და ჩართული იყო სულ 55 საწოლით, აქედან 47 თერაპიული და 8 რეანიმაციული საწოლით; აღნიშნულმა გასტანა 2022 წლის 9 მარტამდე, 9 მარტიდან მთელი 2022 წლის განმავლობაში აღნიშნულის საჭიროება აღარ დამდგარა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს კარდიოლოგიის დეპარტამენტს დამატა მნიშვნელოვანი მიმართულება - არითმოლოგია, რომელმაც საწოლფონდით დატვირთა კარდიოლოგიის დეპარტამენტი.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დავადებათა მართვის ცენტრი“.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ათას ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - რაც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დაბეგვრა

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციასა და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად, კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ამონაგები

	2022	2021
სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება	14,868	17,253
პაციენტის წილი მიღებულ შემოსავალში (თანაგადახდა) და თვითდინებით მოსული პაციენტები	5,731	4,826
სადაზღვევო კომპანიები და მუნიციპალიტეტები	1,268	921
სხვა	131	385
	21,998	23,385

5. მარაგები და მარაგების ხარჯი

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სამედიცინო მარაგები და წამლები	966	1,107
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	69	69
	1,035	1,176

5. მარაგები და მარაგების ხარჯი (გაგრძელება)

მარაგების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მარაგის ცვლილება	(141)	65
წლის განმავლობაში შესყიდული მარაგი	(5,235)	(6,370)
წლის მარაგის ხარჯი	(5,376)	(6,305)

6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2022	2021
სამედიცინო პერსონალის ხელფასი და სარგებელი	(9,740)	(9,227)
ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი და სარგებელი	(1,414)	(1,197)
სხვა	(151)	(144)
	(11,305)	(10,568)

7. სხვა ხარჯები

	2022	2021
სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(1,425)	(1,555)
კომუნალური ხარჯი	(669)	(682)
მიმდინარე რემონტისა და სხვა სამეურნეო ხარჯები	(384)	(327)
პაციენტების კვების ხარჯი	(130)	(203)
დაცვის ხარჯი	(78)	(82)
სამედიცინო ტექნიკის შეკეთების ხარჯი	(39)	(66)
კომუნიკაციის ხარჯი	(27)	(21)
სხვა ხარჯი	(121)	(99)
	(2,873)	(3,035)

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	ავიჯი და კლინიკის აღჭურვილობა	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	30	6,156	6,862	1,222	14,270
შემოსვლა	-	-	499	114	613
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	30	6,156	7,361	1,336	14,883
შემოსვლა	-	-	295	72	367
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	30	6,156	7,656	1,408	15,250
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	(627)	(1,895)	(410)	(2,932)
ცვეთა	-	(262)	(981)	(190)	(1,433)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	(889)	(2,876)	(600)	(4,365)
ცვეთა	-	(262)	(1,034)	(193)	(1,489)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(1,151)	(3,910)	(793)	(5,854)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	30	5,267	4,485	736	10,518
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	30	5,005	3,746	615	9,396

ძირითადი საშუალებები ღირებულებით 9,396 ათასი ლარი და 10,518 ათასი ლარი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ჩადებულია უზრუნველყოფაში დამფუძნებლის მიერ სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხების სანაცვლოდ. დეტალებისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური მოთხოვნები		
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“*	3,540	4,988
მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ	39	-
დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP)	80	269
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	479	207
არაფინანსური მოთხოვნები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	23
	4,138	5,487

*სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიმართ არსებული მოთხოვნა წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების ღირებულების სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ ასანაზღაურებელ ნაწილს.

კომპანიის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ ხდება ყოველთვიურად, რის შედეგადაც მხარეებს შორის ხდება შეთანხმება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე და თანხის ჩამორიცხვა სააგენტოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიმართ არსებული მოთხოვნა არის მიმდინარე და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

სხვა სავაჭრო მოთხოვნები და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები არის მიმდინარე, არავადაგაცილებული და არაგაუფასურებული.

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

10. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში	11	6
ფული რეზიდენტ ბანკში	1,009	1,224
	1,020	1,230

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან შეადგენს 31 ათას ლარს (2021: 40 ათასი ლარი).

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 26 ივლისს განისაზღვრა, შპს "მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიური დაავადებათა მართვის ცენტრის" მიერ მის კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთის კაპიტალში შემოტანით, რომლის ღირებულებამ შეადგინა 31 ათასი ლარი. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალის ოდენობა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 31 ათას ლარს.

12. სხვა რეზერვები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვების ნაშთი 757 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს სარგებელს, რომელიც წარმოიქმნა დაკავშირებული მხარეებისგან (საბოლოო მფლობელები) უპროცენტო სესხის მიღების შედეგად. დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდა კაპიტალში სხვა რეზერვის მუხლში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა.

13. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2022		სულ
			მოკლევადიანი ვალდებულება	გრძელვადიანი ვალდებულება	
დამფუძნებელი-სესხი #1	11.6%	12.09.2029	1,424	12,646	14,070
საბოლოო მფლობელები	7.95%	26.07.2029	-	811	811
			1,424	13,457	14,881

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2021		სულ
			მოკლევადიანი ვალდებულება	გრძელვადიანი ვალდებულება	
დამფუძნებელი-სესხი #1	11.6%	12.09.2029	1,277	13,734	15,011
დამფუძნებელი-სესხი #2	11.6%	12.09.2022	74	-	74
საბოლოო მფლობელები	7.95%	26.07.2029	-	855	855
			1,351	14,589	15,940

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიღებული სესხები დამფუძნებლისგან და საბოლოო მფლობელებისგან წარმოდგენილია ქართულ ლარში და აშშ დოლარში, შესაბამისად.

2022 და 2021 წლის განმავლობაში მიღებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 1,745 ათასი ლარი და 1,890 ათასი ლარი, შესაბამისად.

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2,517	2,777
გადასახდელი ხელფასები	1,583	1,811
ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ	-	797
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	181	101
	4,281	5,486

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

- მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	კავშირი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		39	-
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	39	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	797
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	-	797
მიღებული სესხები		14,881	15,940
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	14,070	15,085
ბადრი ჩაკვეტაძე	საბოლოო მფლობელი	163	171
ქიმუცაძე ნინო	საბოლოო მფლობელი	162	171
აბუთიძე კობა	საბოლოო მფლობელი	162	171
კახა ყავლაშვილი	საბოლოო მფლობელი	162	171
შოთა ინგოროყვა	საბოლოო მფლობელი	162	171

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

	კავშირი	2022	2021
ამონაგები		52	72
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	52	72
სხვა შემოსავალი		36	30
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	36	30
სხვა ხარჯები		(1,140)	(1,339)
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	(1,140)	(1,339)
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(19)	(37)
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	(19)	(37)
ფინანსური ხარჯები		(1,745)	(1,890)
შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“	დამფუძნებელი	(1,683)	(1,825)
საბოლოო მფლობელები	საბოლოო მფლობელები	(62)	(64)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 684 და 568 ათასი ლარი 2022 და 2021 წლების პერიოდში, შესაბამისად.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 23 თებერვალს შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრის“ სამედიცინო საქმიანობის მიმართულებები (ინვესტიურ დაავადებათა მართვა, ლაბორატორიული მომსახურება), გადავიდა შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის“ საქმიანობის მიმართულებებში. კომპანიამ ამ მიზნით, სამედიცინო საქმიანობის შესასრულებლად, შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრისგან“ იყიდა უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც გამოიყენებოდა სამედიცინო მიზნებისთვის, ხოლო შენობა მიიღო საოპერაციო ოჯარის ხელშეკრულებით. კომპანიამ, ასევე, მოიპოვა ყველა შესაბამისი ლიცენზია აღნიშნული სამედიცინო საქმიანობების გასახორციელებლად.

2023 წელს ერთ-ერთმა კრედიტორმა კომპანიის მიმართ სასამართლოში წამოაყენა სარჩელი 231 ათასი ლარის დავალიანების გადახდის და აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულება კომპანიას ბუღალტრულად უფიქსირდება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2023 წლის 4 აპრილს დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. თანხის დაბრუნებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

17. პირობითი ვალდებულებები

დაზღვევის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდოდ ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი

კომპანიის სამედიცინო საქმიანობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ მხრიდან ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს კომპანიის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა კომპანიას დაეკისროს ფინანსური სანქციები.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
შენობა	7-45
სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	7-10
ავეჯი და კლინიკის აღჭურვილობა	2-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში)

გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე. გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს სამედიცინო მარაგებსა და წამლებს და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდით.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არაფიზიკურ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასის შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შესაბამისად, კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვი შედგება სარგებლისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო დაკავშირებული მხარისგან უპროცენტო სესხის მიღების შედეგად, რაც წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც პერიოდის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ

ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების
დასავლეთის რეგიონალური ცენტრი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი

შინაარსი:

1. საქმიანობის მიმოხილვა	24
2. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	26
3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	26
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	26
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	26
7. გარემო და უსაფრთხოება	29
8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	29
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	29

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“ (ს.კ 412719651) დაფუძნდა 2016 წლის 26 ივლისს. ძირითადი საქმიანობა დაიწყო 2018 წლის მეორე ნახევრიდან. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და ეწევა მაღალი ხარისხის 24 საათიან სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრი“, რომელიც ოპერირებს იმავე სფეროში.

საწარმო ექვემდებარება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ცალკეული სამედიცინო მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ლიცენზირებას, ლაბორატორიის აკრედიტაციას და სხვა. სამედიცინო დაწესებულებას მიღებული აქვს შესაბამისი ნებართვები და ნებართვების დანართები სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაში. სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სანებართვო-სალიცენზიო პირობებს, ფლობს ნებართვებს და ნებართვის დანართებს შემდეგ სამედიცინო მომსახურების პროფილებში:

- ოტორინოლარინგოლოგია;
- რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- რეანიმაცია;
- ქირურგიული საქმიანობა;
- ონკოლოგია;
- რადიოლოგიური საქმიანობა კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა;
- დიალიზი;
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება-EMERGENCY;
- გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა;
- ინტერვენციული კარდიოლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- ნეიროქირურგია;
- ორგანოს, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და უჯრედების აღება და/ან შენახვა და/ან გადანერგვა.

ძირითადი ფასეულობები:

ჰოსპიტალის თითოეული პაციენტი საიმედო ხელშია. კომპანია ითვალისწინებს და აკმაყოფილებს პაციენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პაციენტი ექიმის მზურველობისა და ყურადღების ცენტრშია მკურნალობის ყველა საფეხურზე. პაციენტთა ეფექტური მკურნალობის უზრუნველყოფად ჰოსპიტალის თითოეული განყოფილება მულტიდისციპლინარული მიდგომით მუშაობს. კომპანია მიმართავს ინტეგრირებულ მოდელს, რაც ექიმებისა და ექთნების გუნდურ, შეთანხმებულ მუშაობას გულისხმობს.

კომპეტენცია- ხარისხიანი ჯანმრთელობის მკურნალობის წარმართვის მთავარი საყრდენია.

კომპანიაში ქართველ ექიმებთან ერთად დასაქმებულნი არიან უცხოელი ექიმები, პერიოდულად ხდება დამატებით მოწვევა სხვადასხვა სპეციალისტების, უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის.

გარემო და უსაფრთხოება

იმისათვის, რომ პაციენტებმა მიიღონ მაღალი ხარისხის მკურნალობა და თავი კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნონ, ჰოსპიტალის ინფრასტრუქტურა შექმნილია მკაცრი ევროპული სტანდარტების მიხედვით. ჰოსპიტალში არსებული ვენტილაციის სისტემა უზრუნველყოფს ჰაერის ნაკადების მართვას და ფილტრაციას, ასევე ტენიანობისა და ტემპერატურის რეგულირებას, კლინიკა აღჭურვილია სახანძრო და საგანგებო სიტუაციების უსაფრთხოების სისტემით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პაციენტებისა და ჰოსპიტალის თანამშრომლების დაცულობას საგანგებო სიტუაციის არსებობის შემთხვევაში. სისტემა დანერგილია ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“ ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე, მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მაღალი სამედიცინო კომპენეტითა და შესაბამისი მომსახურების მიწოდებით რეგიონში შექმნას ისეთი მომსახურება, რომელიც მისცემს ადგილობრივ მოსახლეობასა და მიმდებარე რეგიონებს, ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღოს ევროპული სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მოსახურება.

2022 წლის პერიოდში კლინიკაში განხორციელდა დაახლოებით 1 მილიონი ლარის ინვესტიცია დამატებითი პროფილის- არითმოლოგიური ჩარევების განსახორციელებლად. თანდათან მნიშვნელოვნად განვითარდა ზოგადი ქირურგიული სექტორი.

კომპანიის განვითარების საყრდეს დასაქმებული პერსონალი წარმოადგენს. კომპანიისათვის თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვანია. საუკეთესო სამუშაო გარემოს შესაქმნელად გათვალისწინებულია თანამშრომელთა ინდივიდუალური საჭიროებები.

გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია მიზნად ისახავს რიგი სტრატეგიული გეგმების განხორციელებას:

- ❖ პაციენტების ნაკადების ზრდა, როგორც ადგილობრივად, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან მოწვეული პროფესიონალი ექიმების ხარჯზე. კერძოდ, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქეთის რესპუბლიკის ერთ- ერთ მნიშვნელოვან კლინიკასთან;
- ❖ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და პაციენტის კმაყოფილების უზრუნველყოფა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, კომპანია მიზნად ისახავს რიგი ღონისძიებების ჩატარებას. მათ შორის, დაგეგმილია დამატებითი კვალიფიციური კადრების მოწვევა და სამედიცინო აღჭურვილობაში ინვესტირება.

2023 წლის 23 თებერვალს კომპანიამ დაიმატა სამედიცინო საქმიანობის მიმართულებები (ინფექციურ დაავადებათა მართვა, ლაბორატორიული მომსახურება). კომპანიამ ამ მიზნით სამედიცინო საქმიანობის შესასრულებლად შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრისგან“ იყიდა მოძრავი ქონება და მარაგები, მხოლოდ ის ნაწილი რომელიც გამოიყენებოდა სამედიცინო მიზნებისთვის, ხოლო შენობა აიღო იჯარით. კომპანიამ ასევე მოიპოვა ყველა შესაბამისი ლიცენზია აღნიშნული სამედიცინო საქმიანობების გასახორციელებლად.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია წარმოდგენილია ერთი ფილიალით, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ფოთის ქუჩა #40, ქ. ქუთაისი, საქართველო. ამავე მისამართზეა განთავსებული და ახორციელებს სამედიცინო მომსახურებას კომპანიის მფლობელი კომპანია - შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრისგან“.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 და 2021 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია მოიცავს 12 განყოფილებას, რომელიც განთავსებულია 7,594 კვმ შენობაში, სადაც გაშლილია 170 საწოლი.


შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების დანართი N20-ის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, იყო, როგორც „მოზილიზებული კოვიდ კლინიკა“ 2022 წლის 9 მარტამდე.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება) დასაქმებულთა რაოდენობა

კომპანიაში 2022 წლის 31 დეკემბრისათვის დასაქმებულთა რაოდენობა იყო 450.

იგივე მაჩვენებელი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის იყო 450.


შემოსავლის სტრუქტურა:



დეტალურად	2022	2021
სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება	14,868	17,253
პაციენტის წილი მიღებულ შემოსავალში (თანაგადახდა) და თვითდინებით მოსული პაციენტები	5,731	4,826
სადაზღვევო კომპანიები და მუნიციპალიტეტები	1,268	921
სხვა	131	385
	21,998	23,385

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ხარჯების სტრუქტურა:



ხარჯების შესახებ	2022	2021
მარაგების ხარჯი	5,376	6,305
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	11,305	10,568
ცვეთა და ამორტიზაცია	1,489	1,433
სხვა ხარჯები	2,873	3,035
	21,043	21,341

მაჩვენებელი	მაჩვენებლის განმარტება	31.12.2022	31.12.2021
სამუშაო კაპიტალი	მიმდინარე აქტივებს-მიმდინარე ვალდებულებები	298	882
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	ფული და ფულის ექვივალენტები/მიმდინარე ვალდებულებები	0,17	0,18
ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები	1,05	1,13
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (მარაგების გარეშე)	(მიმდინარე აქტივებს-მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები	0,87	0,96
EBITDA-ს მარჟა	EBITDA/ამონაგები	11%	15%

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შემოსავლის შემცირება ძირითადად უკავშირდება covid-პანდემიის დასრულებასა და, შესაბამისად, პაციენტის მომართვიანობის შემცირებას. ამავე მიზეზით შემცირდა მედიკამენტების ხარჯიც.

ხარჯების უმეტეს ნაწილს სახელფასო ხარჯი წარმოადგენს, რომლის მაჩვენებელიც იცვლება კონკრეტული პროფილის შემოსავლიანობის ცვლილებასთან ერთად.

7. გარემო და უსაფრთხოება

ბიოლოგიური დაბინძურების და ჰოსპიტალური ინფექციის გავრცელების პრევენცია ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კომპანიისათვის. შესაბამისად, ორგანიზაციული პროცესები მკაცრად ექვემდებარება გაიდლაინებს და სტანდარტებს. ვენტილაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებთან ერთად, მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი სამედიცინო ნარჩენების მართვის სისტემა, რაც მნიშვნელოვანია ჰიგიენის მაღალი სტანდარტების დასაცავად. კომპანია მუდმივად ახორციელებს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების მონიტორინგს, რის შედეგადაც ხდება პოტენციური სახიფათო პროცედურების გამოვლენა და პრევენცია.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნესი დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. საანგარიშო წელს, შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე. დაფინანსების ერთ წყაროზე ასეთი დოზით დამოკიდებულებას მიიჩნევს კლინიკა ერთ-ერთ პოტენციურ რისკად.

პანდემიური პიკები და ლოქდაუნები გავლენას ახდენს კლინიკის ოპერირებაზე.

საოპერაციო ხასიათის რისკებიდან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ რეგულაციების ცვლა.

ლარის კურსის ცვალებადობისა და შესაბამისად, ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ზრდა, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსის, ისე მომწოდებლების ფასების ინდექსის მხრივ, იწვევს გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე, რისკებს.

დამატებით, რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება, ასევე, პროფესიული საქმიანობისას წარმოშობილი დავები და ფინანსური სანქციები, თუმცა შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საწარმოში დანერგილი სხვადასხვა ხარისხობრივი მოთხოვნების გატარებითა და კონტროლით ეს რისკი შემცირებულია მაქსიმალურად.

კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციური რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს, ასევე, კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



გია გრძელიძე

მთავარი ბუღალტერი



სალომე შენგელია



6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შემოსავლის შემცირება ძირითადად უკავშირდება covid-პანდემიის დასრულებასა და, შესაბამისად, პაციენტის მომართვიანობის შემცირებას. ამავე მიზეზით შემცირდა მედიკამენტების ხარჯიც.

ხარჯების უმეტეს ნაწილს სახელფასო ხარჯი წარმოადგენს, რომლის მაჩვენებელიც იცვლება კონკრეტული პროფილის შემოსავლიანობის ცვლილებასთან ერთად.

7. გარემო და უსაფრთხოება

ბიოლოგიური დაბინძურების და ჰოსპიტალური ინფექციის გავრცელების პრევენცია ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კომპანიისათვის. შესაბამისად, ორგანიზაციული პროცესები მკაცრად ექვემდებარება გაიდლაინებს და სტანდარტებს. ვენტილაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებთან ერთად, მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი სამედიცინო ნარჩენების მართვის სისტემა, რაც მნიშვნელოვანია ჰიგიენის მაღალი სტანდარტების დასაცავად. კომპანია მუდმივად ახორციელებს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტების მონიტორინგს, რის შედეგადაც ხდება პოტენციური სახიფათო პროცედურების გამოვლენა და პრევენცია.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნესი დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. საანგარიშო წელს, შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე. დაფინანსების ერთ წყაროზე ასეთი დოზით დამოკიდებულებას მიიჩნევს კლინიკა ერთ-ერთ პოტენციურ რისკად.

პანდემიური პიკები და ლოქდაუნები გავლენას ახდენს კლინიკის ოპერირებაზე.

საოპერაციო ხასიათის რისკებიდან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ რეგულაციების ცვლა.

ლარის კურსის ცვალებადობისა და შესაბამისად, ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ზრდა, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსის, ისე მომწოდებლების ფასების ინდექსის მხრივ, იწვევს გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე, რისკებს.

დამატებით, რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება, ასევე, პროფესიული საქმიანობისას წარმოშობილი დავები და ფინანსური სანქციები, თუმცა შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საწარმოში დანერგილი სხვადასხვა ხარისხობრივი მოთხოვნების გატარებითა და კონტროლით ეს რისკი შემცირებულია მაქსიმალურად.

კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციური რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს, ასევე, კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

_____ გია გრძელიძე

მთავარი ბუღალტერი

_____ სალომე შენგელია